პროექტი

საქართველოს კანონი

„პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 24.04.2013, სარეგისტრაციო კოდი: 450130010.05.001.01.697) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის: ა) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) თეატრის დასი – თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი: მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები, ლიტერატურული ნაწილის გამგე, ქორეოგრაფი, დირიჟორი, კომპოზიტორი;“;

ბ) „ჩ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის II[1] თავი:

„თ ა ვ ი II[1]

პროფესიული ეროვნული თეატრი

„მუხლი 8[1].პროფესიული ეროვნული თეატრის სტატუსი

1. პროფესიულ თეატრს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეიძლება მიენიჭოს პროფესიული ეროვნული თეატრის სტატუსი.

2. პროფესიული ეროვნული თეატრის მართვა ხორციელდება ამ კანონის შესაბამისად, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 8². პროფესიული ეროვნული თეატრის მართვა და სტრუქტურა

1. პროფესიული ეროვნული თეატრის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა თეატრის დასის საერთო კრება, რომლის საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ კანონის მე-10 მუხლით.

2. პროფესიული ეროვნული თეატრის საერთო მმართველობას ახორციელებს სამხატვრო ხელმძღვანელი.

3. სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე სამხატვრო საბჭოს წარდგენილ კანდიდატს ნიშნავს მინისტრი 4 წლის ვადით.

4. მინისტრი უფლებამოსილია:

ა) დანიშნოს სამხატვრო საბჭოს მიერ სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი;

ბ) დანიშნოს სამხატვრო ხელმძღვანელი, თუ სამხატვრო საბჭო 3 თვის განმავლობაში ვერ შეარჩევს სამხატვრო ხელმძღვანელის კანდიდატურას.

5. პროფესიული ეროვნული თეატრის წარმომადგენლობითი ორგანოა სამხატვრო საბჭო. სამხატვროს საბჭო არის შემოქმედებითი კოლექტივის მიერ თეატრის დასის საერთო კრებაზე თავისი შემადგენლობიდან არჩეული 5 ან 7 წევრისგან შემდგარი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც თავმჯდომარეობს სამხატვრო ხელმძღვანელი.

6. პროფესიული ეროვნული თეატრის დირექტორის ფუნქციები განისაზღვრება ამ კანონის მე-10 მუხლით.

7. პროფესიული ეროვნული თეატრის დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულებისას სამხატვრო საბჭოს ან/და სამხატვრო ხელმძღვანელს შეუძლია მიმართოს მინისტრს თანამდებობიდან მისი გათავისუფლების მოთხოვნით. მინისტრის მიერ მათი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სამხატვრო საბჭო პროფესიული ეროვნული თეატრის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. აღნიშნულის შემდეგ მინისტრი ვალდებულია თავისი ბრძანებით გაათავისუფლოს პროფესიული ეროვნული თეატრის დირექტორი თანამდებობიდან.".

3. მე-9 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე" ქვეპუნქტი:

„ე) ეროვნული.“.

4. მე-10 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა იყოს უმაღლესი სახელოვნებო განათლების მქონე პირი, პროფესიით რეჟისორი, პროფესიული საქმიანობის 5 წლის სტაჟით, ან მსახიობი, 10 წლის პროფესიული სტაჟით, ოპერისა და ბალეტის თეატრში – პროფესიით დირიჟორი ან უმაღლესი სამუსიკო განათლების მქონე სხვა პირი, პროფესიული საქმიანობის 5 წლის სტაჟით. სამხატვრო ხელმძღვანელი:

ა) არის თეატრის საერთო ხელმძღვანელი;
ბ) პასუხისმგებელია თეატრის საერთო საქმიანობაზე;

გ) განსაზღვრავს საშტატო ერთეულების რაოდენობას, სახელფასო განაკვეთს და წახალისების ფორმებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და დასამტკიცებლად წარუდგენს სამხატვრო საბჭოს;

დ) თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის წევრებთან დებს შრომით ხელშეკრულებებს არაუმეტეს 4 წლის ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მისი უფლებამოსილების ვადის გასვლიდან 6 თვეს. 4 წელზე მეტი ვადის შემთხვევაში სამხატვრო ხელმძღვანელი შრომით ხელშეკრულებებს დებს მინისტრთან შეთანხმებით;
ე) საჭიროების შემთხვევაში მოწვეულ სპეციალისტებთან დებს შრომით ხელშეკრულებებს შესაბამისი ვადით;
ვ) უზრუნველყოფს რეჟისორის (რეჟისორების) მოზიდვასა და დასაქმებას თეატრის შემოქმედებითი ზრდის, რეპერტუარის მრავალფეროვნებისა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მიზნით;
ზ) უზრუნველყოფს მსახიობთა შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას და მათ პროფესიულ ზრდას;

თ) ხელმძღვანელობს სამხატვრო საბჭოს, იწვევს სამხატვრო საბჭოს სხდომას სამ თვეში ერთხელ მაინც;

ი) სამხატვრო საბჭოსთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავარ რეჟისორს, მთავარ დირიჟორს, მთავარ ბალეტმაისტერს, მთავარ ქორმაისტერს, მთავარ მხატვარს;
კ) თეატრის დირექტორთან ერთად წყვეტს ადმინისტრაციულ-ტექნიკურ და ფინანსურ საკითხებს;
ლ) ახდენს ცალკეული ადმინისტრაციულ-ტექნიკური უფლებამოსილებების დელეგირებას თეატრის დირექტორზე ან/და შემოქმედებითი უფლებამოსილების დელეგირებას თეატრის სამხატვრო საბჭოს მიერ განსაზღვრულ სამხატვრო საბჭოს წევრზე, ან მთავარ რეჟისორზე (უფლებამოსილების დელეგირება სამხატვრო

ხელმძღვანელს არ ათავისუფლებს თეატრის საერთო საქმიანობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისაგან);";

ბ) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1-3^3 პუნქტები:

„3^1. სამხატვრო ხელმძღვანელის მიერ თეატრის საქმიანობის არაჯეროვნად განხორციელებისას სამხატვრო საბჭო უფლებამოსილია მიმართოს მინისტრს მისი გამოწვევის დასაბუთებული მოთხოვნით და დასის საერთო კრების 2/3-ის მხარდაჭერით, რაც უნდა დააკმაყოფილოს მინისტრმა.

3^2. სამხატვრო ხელმძღვანელის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან მისი გადადგომის შემთხვევაში სამხატვრო საბჭო თავისი შემადგენლობიდან, არაუმეტეს 3 თვის ვადით ირჩევს სამხატვრო ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს და აცხადებს ვაკანსიას სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

3^3. სამხატვრო საბჭო ერთი თვის განმავლობაში ღებულობს განაცხადებს სამხატვრო ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე და თეატრის დასის საერთო კრებას წარუდგენს შერჩეულ კანდიდატს.";

გ) მე-4–მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პროფესიულ სახელმწიფო თეატრში, რომლის დაფინანსების ძირითადი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი, სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე სამხატვრო საბჭოს წარდგენილ კანდიდატს ნიშნავს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი 4 წლის ვადით.

5. პროფესიულ სახელმწიფო თეატრში, რომლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე სამხატვრო საბჭოს წარდგენილ კანდიდატს ნიშნავს მინისტრი 4 წლის ვადით.

6. აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ პროფესიულ სახელმწიფო თეატრში შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი სამხატვრო საბჭოს წარდგენილ კანდიდატს, ხოლო პროფესიულ სახელმწიფო თეატრში, რომლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი სამხატვრო საბჭოს წარდგენილ კანდიდატს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე ნიშნავს 4 წლის ვადით.

7. პროფესიულ მუნიციპალურ თეატრში ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო მასთან არსებული სამხატვრო საბჭოს წარდგენილ კანდიდატს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე ნიშნავს 4 წლის ვადით.";

დ) მე-8 პუნქტის:

დ.ა) „ა" და „ბ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

„ა) დანიშნოს სამხატვრო საბჭოს მიერ წარდგენილი სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატი;

ბ) დანიშნოს სამხატვრო ხელმძღვანელი, თუ სამხატვრო საბჭო 3 თვის განმავლობაში ვერ შეარჩევს სამხატვრო ხელმძღვანელის კანდიდატს. თუ მინისტრი არ ეთანხმება სამხატვრო საბჭოს მიერ წარდგენილ სამხატვრო ხელმძღვანელის კანდიდატურას, შეუძლია დანიშნოს მის მიერ შერჩეული კანდიდატურა შესაბამისი დასაბუთებით;";

დ.ბ) „გ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად მინისტრისთვის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრისთვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრისთვის წარსადგენი კანდიდატურის განხილვის უფლებამოსილება სამხატვრო საბჭოს აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობით.";

ვ) მე-10 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ზ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. კანდიდატი ვალდებულია სამხატვრო საბჭოს წარუდგინოს თეატრის საქმიანობის პრიორიტეტები და სტრატეგიული ხედვა (ოთხ წელიწადში თითო წელიწადზე გაწერილი).";

თ) მე-12 პუნქტის:

თ.ა) „ა.ა" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

თ.ბ) „ბ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ი) მე-14 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ"–„ვ" ქვეპუნქტები:

„დ) თეატრის დირექტორი მოადგილეებს და ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებს ნიშნავს და ათავისუფლებს სამხატვრო ხელმძღვანელის თანხმობით და სამხატვრო საბჭოსთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეთანხმებით;

ე) თეატრის დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, სამხატვრო საბჭოს და სამხატვრო ხელმძღვანელს შეუძლია მიმართოს მინისტრს მისი თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნით. მინისტრი ვალდებულია დააკმაყოფილოს ერთობლივი მიმართვა. სამხატვრო საბჭოსა და

სამხატვრო ხელმძღვანელის შეუთანხმებლობის შემთხვევაში თეატრის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თეატრის დასის საერთო კრება დამსწრეთა უმრავლესობით;

ვ) მინისტრი უფლებამოსილია ერთპიროვნულად გაათავისუფლოს თეატრის დირექტორი მის მიერ კანონის უხეში დარღვევისთვის.";

კ) მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16. თეატრს ჰყავს სამხატვრო საბჭო, რომელიც არის თეატრის დასის საერთო კრებაზე შემოქმედებითი კოლექტივის მიერ თავისი შემადგენლობიდან არჩეული 5 ან 7 წევრისაგან შემდგარი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც თავმჯდომარეობს სამხატვრო ხელმძღვანელი. იმ თეატრში, რომლის დასის წევრთა რაოდენობა 15 წევრს არ აღემატება, სამხატვრო საბჭო არ აირჩევა. სამხატვრო საბჭოს ფუნქციებს ასრულებს თეატრის დასი.";

ლ) მე-16 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-17–26-ე პუნქტები:

„17. პროფესიულ თეატრში, რომელმაც სამხატვრო საბჭო არ აირჩია, სამხატვრო ხელმძღვანელს ნიშნავს მინისტრი.

18. სამხატვრო საბჭო:

ა) შეარჩევს სამხატვრო ხელმძღვანელის კანდიდატურას, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს თეატრის დასის საერთო კრებას და საერთო კრების წევრთა უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრს;

ბ) საჭიროების შემთხვევაში იწვევს თეატრის დასის საერთო კრებას;

გ) გადაწყვეტილებას იღებს სიითი <u>შემადგენლობის ნახევარზე მეტით</u>;

დ) სამხატვრო ხელმძღვანელთან ან სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორთან შეთანხმებით უფლებამოსილია დაესწროს თეატრის წინასაპრემიერო გენერალურ რეპეტიცია-ჩვენებას და მისცეს შესაბამისი სარეკომენდაციო ხასიათის შეფასება;

ე) იხილავს თეატრის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა სადავო საკითხს და შესაბამისი რეკომენდაციით მიმართავს სამხატვრო ხელმძღვანელს;

ვ) იწონებს ან უარყოფს თეატრის დირექტორის კანდიდატურას;

ზ) თეატრის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს დირექტორის მოადგილის ან ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლების კანდიდატურებს.

თ) ახორციელებს თეატრის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს.

19. სამხატვრო საბჭოს 4 წლის ვადით ირჩევს თეატრის დასის საერთო კრება. საერთო კრების ყველა წევრი ხმის დამთვლელ კომისიას სთავაზობს სამხატვრო საბჭოს შემადგენლობას. სამხატვრო საბჭოს წევრებად აირჩევიან ის კანდიდატები, რომლებიც ხმების უმრავლესობას მიიღებენ. სამხატვრო საბჭოს არჩევიდან 2 წლის შემდეგ თეატრის დასის საერთო კრება განიხილავს სამხატვრო საბჭოს ნდობის საკითხს. სამხატვრო საბჭოსთვის ნდობის გამოცხადების შემთხვევაში სამხატვრო საბჭო აგრძელებს საქმიანობას უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე. სამხატვრო საბჭოსთვის ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში აირჩევა ახალი სამხატვრო საბჭო.

20. სამხატვრო საბჭოს სხდომები იმართება 3 თვეში ერთხელ. სამხატვრო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა შეუძლია სამხატვრო ხელმძღვანელს თავისი ინიციატივით ან სამხატვრო საბჭოს წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

21. თეატრში, რომლის შემოქმედებით კოლექტივში 15 წევრზე ნაკლებია, სამხატვრო საბჭოს ფუნქციას ასრულებს თეატრის დასი.

22. თეატრში, რომლის შემოქმედებითი კოლექტივი არ აღემატება 30 წევრს, სამხატვრო საბჭო შედგება 5 წევრისაგან.

23. თეატრში, რომლის შემოქმედებით კოლექტივში 30 წევრზე მეტია, სამხატვრო საბჭო შედგება 7 წევრისაგან.

24. თუ თეატრის შემოქმედებით კოლექტივში 100 წევრზე მეტია, სამხატვრო საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება თეატრის დასის საერთო კრების გადაწყვეტილებით.

25. სამხატვრო ხელმძღვანელი ვალდებულია სამხატვრო საბჭოს წევრთა არჩევის მიზნით მოიწვიოს თეატრის დასის საერთო კრება. სამხატვრო ხელმძღვანელის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საერთო კრებას იწვევს მინისტრი.

26. თეატრის დასის საერთო კრება შეიძლება მოიწვიოს სამხატვრო ხელმძღვანელმა, სამხატვრო საბჭომ ან თეატრის დასის *წევრთა* ერთმა მეხუთედმა. თეატრის დასის საერთო კრების სხდომის ჩატარებაზე პასუხისმგებელია სამხატვრო ხელმძღვანელი. თეატრის დასის საერთო კრების სხდომას უძღვება სამხატვრო ხელმძღვანელი ან თეატრის დასის უხუცესი წევრი. თეატრის დასის საერთო კრება უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება თეატრის დასის წევრთა ერთი მესამედი. თეატრის დასის საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. სამხატვრო ხელმძღვანელმა უნდა მოიწვიოს თეატრის დასის საერთო კრება წელიწადში ორჯერ

მაინც, ერთხელ – თეატრალური სეზონის გახსნამდე, მეორედ – თეატრალური სეზონის დახურვის შემდეგ. თეატრის დასის საერთო კრების დღის წესრიგს ამტკიცებს საერთო კრება დამსწრეთა უმრავლესობით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

20014 წლის -----